

სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენციაზე საქართველოში

ბექა მამესწარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოთხოვნის შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მოწვეული ლექტორი გიორგი გახელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განცადება

როგორც წარმდგენი სამაგისტრო ნაშრომის - *სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენციაზე საქართველოში* - ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს მიერ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბექა მამესწარაშვილი

21.03.2021

აბსტრაქტი

უმაღლესი განათლების სისტემა სახელმწიფოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც დიდად განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების ტემპს და მიმართულებას. უმაღლესი განათლების სისტემა რთული სტრუქტურისაა და როგორც წესი მასზე მრავალი ტიპის ზემოქმედებას აქვს ადგილი. უმაღლესი განათლების სექტორს გააჩნია მრავალფეროვანი, ხშირად, ფუნდამენტური სახის გამოწვევები. საქართველოში, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აწყდებიან უამრავ გამოწვევას, ისეთებს როგორებიცაა: ხარისხიანი პროდუქტის შექმნა, რეგულაციები, კონკურენცია შიდა და გარე ბაზრებზე. სახელმწიფო დიდ ზემოქმედებას ახდენს უმაღლესი განათლების სისტემაზე, ნაშრომის ძირითადი მიზანიც, სწორედ, საქართველოში არსებული გავლენების ძიებაა, რომლებიც სისტემის კონკურენტულ გარემოზე ახდენენ გავლენას. მოცემული კვლევის ამოცანაა დაადგინოს კავშირი სახელმწიფო პოლიტიკასა და ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს შორის, არის თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანასწორ კონკურენციის შემზღუდველი და გაამდიდროს ამ მიმართულებით აკადემიური ცოდნა.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ), სახელმწიფო პოლიტიკა.

Abstract

The higher education system is a very important direction for the states, which determines the pace and direction of the country's development. The higher education system has a complex structure and usually there are many kinds of influences on it. The higher education sector has many and varied, often fundamental, challenges. In Georgia, as well as, in the rest of the world, higher education institutions face lots of challenges, such as: production of quality product, regulations, competition in domestic and international markets. The state has a great influence on the higher education system and the main goal of the thesis is to research the influences in Georgia, which affect the competitive environment of the system. The task of this research is to determine the relation between government policy and the competitive market environment, to determine if public policy limits or not equal competition and to enrich academic knowledge in this area.

Keywords: Competition, Higher Education Institution (HEI), State Policy.